ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის
სხდომის ოქმი № 05

25 იანვარი, 2022 წელი
15:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
ბიუროს სხდომათა დარბაზი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

კახაბერ ლაბუჩიძე, ზურაბ ჩიკვილაძე, თინათინ ნიბლოშვილი, ნათია მოდებაძე, ნინო კვიტაიშვილი და გიორგი შარაშიძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. გიორგი ჩაკვეტაძე – სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე;
2. ვლადიმერ ბოჟაძე – სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი;
3. გივი ჩხარტიშვილი – სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. თინათინ რუხაძე – ა(ა)იპ თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დირექტორი;
2. მანანა წნორიაშვილი – ა(ა)იპ თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი;
3. ირმა პატარიძე – ა(ა)იპ თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის საფინანსო სამსახურის უფროსი;
4. ლევან დვალი – ა(ა)იპ თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის პროექტებისა და პროგრამირების სამსახურის უფროსი;
5. ციცინო გოგოტიშვილი – ა(ა)იპ თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის გამგე.

თბილისის საკრებულოში განათლებისა და კულტურის და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიების გაერთიანებული სხდომა გაიმართა, რომელსაც თავმჯდომარეები კახაბერ ლაბუჩიძე და გიორგი ჩაკვეტაძე უძღვებოდნენ.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“ 2021 წლის საქმიანობის ანგარიში და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხსენებელი: თინათინ რუხაძე

თანამდებობა: ა(ა)იპ თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დირექტორი

2. **საკითხი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის“ 2021 წლის საქმიანობის ანგარიში და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხსენებელი: მანანა წნორიაშვილი

თანამდებობა: ა(ა)იპ თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს და კომისიის წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხები, რომელიც კომისიის წევრთა მიერ, ხმათა უმრავლესობით იქნა დამტკიცებული.

მოისმინეს:

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, კახაბერ ლაბუჩიძემ სიტყვა გადასცა ა(ა)იპ თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დირექტორს თინათინ რუხაძეს, რომელმაც დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი პრეზენტაციის ფორმატით წარადგინა (იხ., დანართი №1, 11 ფრ).

თინათინ რუხაძის განმარტებით, ეროვნული სასახლე თბილისის მუნიციპალიტეტს 2015 წელს გადაეცა, ინფრასტრუქტურულად სავალალო მდგომარეობაში. 2016 წელს, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ გამოაცხადა კონკურსი დირექტორის პოზიციაზე, რამდენადაც სასახლე საჭიროებდა განვითარების ახალ კონცეფციასა და ხედვას. მას შემდეგ, სასახლეში მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა. პანდემიის მიუხედავად, რეაბილიტაციის პროცესი ახლაც წარმატებით მიმდინარეობს, რაშიც მუნიციპალიტეტის როლი განუსაზღვრელია. აღსანიშნავია, რომ რეაბილიტაციის დაწყებამდე, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ მოამზადა შენობის მედეგობის დასკვნა, ასევე ჩატარდა შენობის ხელოვნებათმცოდნეობითი ექსპერტიზა, რაც შრომატევად და რთულ სამუშაო პროცესს მოიცავდა. ამის შემდეგ, სასახლეში მოეწყო სახანძრო უსაფრთხოების სისტემა, გამოიცვალა ელექტროობა, დამონტაჟდა გათბობა. გარდა ინფრასტრუქტურული პროექტებისა, განახლდა ეროვნული სასახლის საგანმანათლებლო ცენტრი, მოდერნიზდა სასწავლო პროცესი, მოწესრიგდა მატერიალური ბაზები, დაინერგა დისტანციური, თუ ჰიბრიდული სწავლება. 2022 წლისთვის, დაგეგმილია სასახლის ბენეფიციართა 2774-მდე გაზრდა, საიდანაც შეღავათებით ისარგებლებს 378 სოციალურად დაუცველი ოჯახი, 124 მრავალშვილიანი ოჯახი, 42 წარჩინებული და 373 უფასო სერვისით მოსარგებლე.

სასახლის დირექტორი ასევე შეეხო სახელფასო ფონდის ზრდის საკითხს, რომელიც ეტაპობრივად მიმდინარეობს და 2015 წლიდან დღემდე, პედაგოგთა ხელფასების 300%-იანი ზრდა მოხდა, რაც წინგადადგმული ნაბიჯია.

თინათინ რუხაძის განმარტებით, სასახლეში დაფუძნდა ახალგაზრდული ორკესტრი, რომელსაც კომპოზიტორ გია ყანჩელის სახელი მიენიჭა. ასევე, თბილისის ახალგაზრდული კაპელა და ანსამბლ „შვიდკაცას" საბავშვო სტუდია; მნიშვნელოვანია ისიც, რომ გაიხსნა ეროვნული სასახლის მუზეუმი, თბილისის საერთაშორისო კონფერენცია, კულტურის დიპლომატიის აკადემია, მინანქრის სიმპოზიუმი, პლანეტარიუმისა და ასტრონომიის კლასი. სასახლეში, ამერიკის საელჩოსთან ერთად, გაიხსნა სამეცნიერო კუთხე, თავისივე ლაბორატორიებით; დაინერგა ჭადრაკის პოპულარიზების პროგრამა; გაკეთდა წიგნიპედიიდან საბავშვო პროექტი, სადაც მიმდინარეობს დისკუსიები. ეროვნული სასახლე ეწევა 160-მდე საკლუბო და სხვადასხვა ტიპის სწავლებას.

თინათინ რუხაძემ აგრეთვე ისაუბრა სასახლეში არსებულ პრობლემებზე. მისი განმარტებით, თითოეული აღსაზრდელი ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს და სწორედ

ამიტომ, დღის წესრიგში დგას ფსიქოლოგის საკითხი. სასახლის დირექტორის განცხადებით, სამუშაოები მიმდინარეობს გათანამედროვებისკენ. 2024 წლისთვის, როგორც შინაარსობრივად, ისე გარეგნულად, რეაბილიტირებული სასახლე უნდა ჰქონდეს დედაქალაქს, რომლის მთავარ ფუნქციად რჩება ახალგაზრდებს აპოვნინოს თავიანთი ადგილი ცხოვრებაში და მაქსიმალურად შეძლონ შესაძლებლობების გამოვლენა.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:
კახაბერ ლაბუჩიძემ, ნათია მოდებაძემ, ნინო კვიტაიშვილმა, ზურაბ ჩიკვილაძემ.

ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ, სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

კომისიის წევრმა ნინო კვიტაიშვილმა, სხვა წევრების მსგავსად, სასახლის დირექტორს მადლობა გადაუხადა გაწეული საქმიანობისთვის. მისი განცხადებით, სასახლის როლი განსაკუთრებულია ახალგაზრდა თაობის სწავლა-განათლების ფორმირების პროცესში და ის, როგორც პროფესიით პედაგოგი, მზად არის სასახლესთან ურთიერთთანამშრომლობისთვის.

კომისიის წევრის, ნათია მოდებაძის კითხვა შეეხებოდა მოთხოვნად სფეროებს და სწავლის პროცესში რამდენად იყენებს სასახლე საერთაშორისო მეთოდებს, რაზეც თინათინ რუხაძემ უპასუხა, რომ მოთხოვნადი სფეროებია: ცეკვა, სიმღერა და უცხოური ენები. გარდა ამისა, სასახლე გეგმავს გიდების სერთიფიცირებას და თბილისის მარშრუტების სხვადასხვა ენაზე სწავლებას. ნათია მოდებაძე აგრეთვე დაინტერესდა, ომის ვეტერანების შვილები თუ სწავლობდნენ სასახლეში, რაზედაც თინათინ რუხაძემ აღნიშნა, რომ სამინისტროსთან უშუალო კონტაქტის მეშვეობით, ზუსტდება ეს მონაცემები.

კომისიის წევრი ზურაბ ჩიკვილაძე, სოციალური პოლიტიკიდან გამომდინარე, დაინტერესდა, სტატუსის მატარებლი ბენეფიციარების სტატისტიკით, რაზეც სასახლის დირექტორმა უპასუხა, რომ აღნიშნულ საკითხზე პრეზენტაციაში დეტალურადაა მონაცემები წარმოდგენილი. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქ თბილისის მერიის სოციალურად დაუცველთა კვოტა არამარტო შეივსო, არამედ მნიშვნელოვნად გაიზარდა.

კომისიის წევრებმა მადლობა გადაუხადეს თინათინ რუხაძეს პრეზენტაციისა და დეტალური ანგარიშის წარმოდგენისთვის.

კახაბერ ლაბუჩიძემ კომისიის წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით განსაზღვრული მეორე საკითხი, რისთვისაც სიტყვა გადაეცა ა(ა)იპ თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სახლის დირექტორს, მანანა წნორიაშვილს, რომელმაც ანგარიში პრეზენტაციის ფორმატით წარმოადგინა (იხ., დანართი №2, 21 ფრ).

მანანა წნორიაშვილის განცხადებით, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სახლი 2007 წელს ქალაქ თბილისის მთავრობის დადგენილებით დაფუძნდა. დაწესებულება მრავალპროფილიანი და ახორციელებს მიზნობრივ სოციალურ, კულტურულ და საგანმანათლებლო პროგრამებს. მისი განმარტებით, თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: საგნობრივი წრეები; სახელოვნებო წრეები და სტუდიები; სპორტული და სახელობო წრეები; სააბიტურიენტო სასწავლო კურსი; კლუბები ინტერესების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ

თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს 38 დასახელების წრე, სტუდია და კლუბი. ბენეფიციართა სტატისტიკა 1740-მდე გაიზარდა.

პანდემიის პირობებში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში განხორციელდა ფილიალების საჭირო მასალებით უზრუნველყოფა. ამასთან, დისტანციური სწავლების ეფექტურად წარმართვისათვის სახლმა უზრუნველყო პედაგოგთა გადამზადება და ჰიბრიდული ფორმების დანერგვა. უსაფრთხო სასწავლო გარემოსათვის ეფექტური ღონისძიებების განხორციელდა.

მანანა წნორიაშვილის განმარტებით, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი ადგილობრივი თვითმმართველობის დახმარებით, ახორციელებს, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში სწავლის წარჩინებულ მოსწავლეთა და მასწავლებელთა დაფინანსების პროგრამებს, სერვისებს, სოციალურად დაუცველი ბენეფიცარებისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: საგნობრივი წრეები, სახელოვნებო წრეები და სტუდიები, სპორტული წრეები, სახელობო წრეები, სააბიტურიენტო სასწავლო კურსი. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს 38 დასახელების წრე, სტუდია და კლუბი. ყველაზე მოთხოვნად დარგად კი დაასახელა უცხოური ენები. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში დასაქმებულია 170 თანამშრომელი, მათ შორის, 77%-ს შეადგენს მასწავლებლები, 18%-ს ტექნიკური მუშაკი, ხოლო 5%-ს ადმინისტრაცია.

მანანა წნორიაშვილის განცხადებით, სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა სტატისტიკა 1740-მდე გაიზარდა, წარჩინებულების 130-მდე, ხოლო სერვისის დამკვეთი გადამხდელების რიცხვი – 1270-მდე. ამასთან, ა(ა)იპ „ქ. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი" აქტიურად თანამშრომლობს თბილისის ბიბლიოთეკებთან, თბილისის მუზეუმების გაერთიანებასთან, ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ-მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრთან, არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰელფინგ ჰენდთან", თბილისის ზოოპარკთან, კავკასიისა და სოხუმის უნივერსიტეტებთან, საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრთან. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში წარმატებით ხორციელდება შემდეგი პროექტები: „არტ-გაზაფხული", „გაიცანი საქართველო", „წიგნის თარო", საახალწლო-საშობაო ღონისძიებები, დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი პროექტი, ფოტოკონკურსები, ინგლისური ენისა და მათემატიკის ოლიმპიადები, საჭადრაკო ჩემპიონატი, სპორტული შეჯიბრებები ტანვარჯიშში, ძიუდოსა და კარატეში, თეატრალური კვირეულები, ფოლკლორული ფესტივალები, ნახატებისა და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა-გაყიდვები, მოსწავლეთა ნამუშევრების პერსონალური გამოფენები და საღამოები, სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციები, მასტერკლასები სახელოვნებო წრეებსა და სტუდიებში, საქველმოქმედო აქციები ბავშვები ბავშვებისათვის.

წარმოდგენილი პრეზენტაცია ასევე შეეხებოდა 2022 წელს დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, როგორიცაა: სამგორის, ჩუღურეთისა და ისნის ფილიალების ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება, ჩუღურეთის ფილიალში მინანქრის კაბინეტის მოწყობა, სასწავლო რესურსით სპორტული და სახელოვნებო წრეების უზრუნველყოფა, სასწავლო კაბინეტების ინვენტარით შევსება. 2022 წელს გეგმავენ მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომელიც გამოყენებითი ხელოვნების კაბინეტების მოწყობას ითვალისწინებს, რამეთუ ბავშვები ამ

კუთხით ქმნიან მცირე ბიზნეს პროექტებს, აწყობენ გამოფენა-გაყიდვებს და შექმნილი პროდუქციის რეალიზაციის მიზნით თანამშრომლობენ სხვადასხვა მაღაზიებთან.

კომისიის წევრებმა მადლობა გადაუხადეს მანანა წნორიაშვილს პრეზენტაციისა და წარმოდგენილი ანგარიშისთვის.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა.

განათლებისა და კულტურის კომისიამ ცნობად მიიღო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სახლის“ 2021 წლის საქმიანობის ანგარიშები და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე

მოამზადა: ირაკლი შამათავა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ეროვნული სასახლე

2016-2022 წწ

თინათინ (თიკა) რუხაძე

NATIONAL PALACE

ეროვნული სასახლე - 2015 წელს გადაეცა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტს

- საგანმანათლებლო ცენტრისთვის გაუმართავი ინფრასტრუქტურა
- სარეაბილტაციო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი
- სასწავლო-მეთოდური პრობლემები

ეროვნული სასახლე - 2016 წელი



ინფრასტრუქტურული განახლება

- ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მომზადდა ექსპერტული დასკვნების შრომის უსაფრთხოების, ბავშვთა, სახანძრო და სანიტარული ნორმების სტანდარტიზაციის მიზნით;
- 2016-2017 წწ - სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ მოამზადა შენობის მედეგობის დასკვნა;
- 2017 წ - შენობის ხელოვნებათმცოდნეობითი ექსპერტიზა ჩატარდა;
- 2017-2019 წწ - ელექტროობისა და გათბობის სისტემის გამართვა;
- 2017-2018 წ - სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მონტაჟი;
- 2018-2019 წწ - შენობის რეაბილიტაციის პროექტის მომზადება;
- 2020 - მიმდინარე პერიოდი - რეაბილიტაციის პროცესი.

ეროვნული სასახლის საგანმანათლებლო ცენტრის განახლება

- არაფორმალური განათლების საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად მეთოდური გაიდლაინების შემოშავება;
- 18-26 წლამდე ახალგაზრდებისათვის სასწავლო პროგრამების შემუშავება;
- მეთოდური განახლების დაგეგმვა / პედაგოგთა შეფასების ჩატარება / ტრენინგებისა და გადამზადების პროგრამები;
- სასწავლო პროცესის მოდერნიზაცია / მატერიალური ბაზის განახლება;
- ონლაინ რეგისტრაციისა და დისტანციური თუ ჰიბრიდული სწავლების დანერგვა;
- ინკლუზიური განათლების დანერგვა;
- 160-მდე საწრეო, კლუბებისა და სხვა სახის სასწავლო პროგრამის განახლება / დანერგვა.

ეროვნული სასახლის ახალი პროექტები და პროგრამები - 2017-2021 წწ

- ეროვნული სასახლის მუზეუმის გახსნა / საექსპოზიციო ნიმუშების შევსება;
- გია ყანჩელის სახელობის თბილისის ახალგაზრდული ორკესტრის დაფუძნება;
- თბილისის ახალგაზრდული კლუბის შექმნა:
- ანსამბლ „შვიდკაცა“-ს საბავშვო სტუდიის შექმნა;
- თბილისის ახალგაზრდული კაპელის შექმნა;
- თბილისის საერთაშორისო კონფერენციის დაარსება - „არაფორმალური განათლების გამოწვევები“;
- მინანქრის სიმპოზიუმის დაფუძნება;
- პლანტარიუმისა და ასტრონომიის კლასის აღდგენა / აღჭურვა;
- სამეცნიერო კუთხის გახსნა;

ეროვნული სასახლის ახალი პროექტები და პროგრამები - 2017-2021 წწ

- კულტურის დიპლომატიის ახალგაზრდული აკადემიის ჩამოყალიბება;
- ჭადრაკის პოპულარიზების პროგრამის დანერგვა;
- წიგნიერების პროგრამა „წიგნიპედია“;
- კინომოყვარულ მოსწავლეთა ფესტივალის „თბილისური აისი“ - 2 გამოშვება;
- საზაფხულო სკოლების პროექტის განხორციელება;
- საერთაშორისო ახალგაზრდული თეატრალური ფესტივალი „თაობა“ – 1 გამოშვება;
- საერთაშორისო ახალგაზრდული მუსიკალური ფესტივალი „თაობა“ – 3 გამოშვება;
- საერთაშორისო ახალგაზრდული კინოფესტივალი „თაობა“ – 4 გამოშვება;
- ევროპული კინოაკადემიის “ახალგაზრდა აუდიტორიის ჯილდო”.

2022 წლისთვის

- შრომის ანაზღაურების სისტემის ცვლილება / საშუალო ასაკი 50
- პედაგოგების ხელფასების ზრდა
- სამუშაო პირობების გაუმჯობესება და
პროფესიული გადამზადების დაგეგმვა

ბენეფიციართა რაოდენობა - 2774

მათ შორის შეღავათებით მოსარგებლე

- სოციალურად დაუცველი ოჯახიდან - 378
- მრავალშვილიანი ოჯახიდან - 124
- წარჩინებული - 42
- უფასო სერვისები - 373



საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორები





თბილისის მუნიციპალიტეტის ეროვნული სასახლე - კულტურის, განათლების და ახალგაზრდობის ცენტრი



#წარმატებაიწყებააქ

ეროვნული სასახლე

ეროვნული სასახლეა!

აქ შენთვის მომავლის კარი იღება!

თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი

Tbilisi Youth House

„ყოველი კაცი ქვეყანაზე არის ის განძი,
რომელსაც უნდა აღმოჩენა და დაფასება"
გალაკტიონი

ა(ა)იპ "ქ. თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი" დაფუძნდა 2007 წელს ქალაქ თბილისის მთავრობის დადგენილებით, რომელიც მოსწავლე-ახალგაზრდობის რაიონული სახლების უფლებამონაცვლე დაწესებულებაა.

თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი არის **აღზრდისა და დამატებითი განათლების მრავალპროფილიანი** დაწესებულება.

ახორციელებს **მიზნობრივ სოციალურ, კულტურულ-საგანმანათლებლო** პროგრამებს.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საქმიანობის უმთავრესი მიზანია

- პიროვნების ინდივიდუალური უნარ-ჩვევებისა და ნიჭის გამოვლენა - განვითარება;
- პროფესიული არჩევანის ხელშეწყობა;
- სპეციალური საჭიროებების მქონე მოზარდთა საზოგადოებაში ინტეგრირებისათვის საჭირო გარემოს შექმნა;
- საჯარო სკოლებთან, სასწავლო-სააღმზრდელო, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა და პარტნიორული პროექტების განხორციელება.

მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის სტრუქტურა



მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ფილიალები:

ადგილობრივი თვითმართველობის მხარდაჭერით

თბილისის მერია

დაწესებულება ახორციელებს

• სერვისებს სოციალურად დაუცველი ბენეფიცარებისთვის;

• სასწავლო–სააღმზრდელო პროცესში სწავლის წარჩინებულ მოსწავლეთა და მასწავლებელთა დაფინანსების პროგრამებს;

თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები:

- საგნობრივი წრეები;
- სახელოვნებო წრეები და სტუდიები;
- სპორტული წრეები;
- სახელობო წრეები;
- სააბიტურიენტო სასწავლო კურსი;
- კლუბები ინტერესების მიხედვით.

ქ. თბილისის მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლში
ფუნქციონირებს 38 დასახელების წრე, სტუდია და კლუბი.

ადგილობრივი თვითმართველობის ბიუჯეტიდან 2020-2021 წლებში დაფინანსებული პროექტები და საჭიროებები:

- ,,სოციალურად დაუცველი და სხვა კატეგორიის მოსახლეობის სერვისების (დახმარების)“ პროგრამა;
- ,,თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლების დაფინანსების (წახალისება) პროექტი”;
- სამგორის ფილიალის ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო პროექტი;
- ჩუღურეთის ფილიალის ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო პროექტი;
- სასწავლო პროცესის ტექნიკური უზრუნველყოფა;
- კომუნალური გადასახადები.

ბენეფიციართა სტატისტიკური მონაცემები



ფილიალების მიხედვით მოსწავლეთა სტატისტიკური მონაცემები



წრეებსა და სტუდიებში გაერთიანებულ მოსწავლეთა ასაკობრივი ანალიზი



ადამიანური რესურსების სტატისტიკური მონაცემები

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში სულ დასაქმებულია 170 თანამშრომელი



ახალი კოვიდ პანდემიის პერიოდში ადგილობრივი თვითმართველობის მიერ თანამშრომლებზე გაცემულ იქნა სუბსიდიები, ხოლო 2021 წლის დეკემბერში - ფულადი ჯილდო.

თბილისის მერია

კოვიდ პანდემიის პირობებში განხორციელებული აქტივობები:

1. ფილიალების სისტემატურად უზრუნველყოფა საჭირო მასალებით;
2. ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი შესაბამისი რეგულაციების დაცვის კონტროლი;
3. პედაგოგთა გადამზადება დისტანციური სწავლების ეფექტურად წარმართვისათვის;
4. სწავლების დისტანციური და ჰიბრიდული ფორმების დანერგვა;
5. მონიტორინგი და უსაფრთხო სასწავლო გარემოსათვის ეფექტური ღონისძიებების განხორციელება;
6. თანამშრომელთა ტესტირება.

პროექტები და აქტივობები



პროექტები და აქტივობები



თანამშრომლობა და კონტაქტები

- ადგილობრივ თვითმმართველობებთან;
- თბილისის ბიბლიოთეკებთან;
- თბილისის მუზეუმებთან;
- მოზარდ–მაყურებელთა თეატრთან;
- ამერიკულ საქველმოქმედო ორგანიზაცია „უკანასკნელ დღეთა წმინდანთა იესო ქრისტეს ფონდი საქართველოში“ – ერთობლივი პროექტები;
- არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ჰელფინგ ჰენდი’’;
- თბილისის ზოოპარკთან;
- თოჯინების თეატრთან;
- კავკასიისა და სოხუმის უნივერსიტეტებთან;
- საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრთან.

2022 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- სამგორის, ჩუღურეთისა და ისნის ფილიალების ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება;
- საკუთარი სახსრებით 3 ფილიალში მცირე სარემონტო სამუშაობის ჩატარება;
- ჩუღურეთის ფილიალში მინანქრის კაბინეტის მოწყობა;
- სასწავლო რესურსით სპორტული და სახელოვნებო წრეების უზრუნველყოფა;
- სასწავლო კაბინეტების ინვენტარით შევსება.

2022 წელს დაგეგმილი პროექტები

- ახალგაზრდული კლუბების გაფართოება და განვითარება;
- სახელობო მიმართულების წრეების განვითარება;
- თემში მცირე კვლევებზე დაყრდნობით ფილიალებში ახალი სერვისების დანერგვა;
- სახელოვნებო და უცხოური ენების მიმართულებით საზაფხულო სკოლების შექმნა;
- დისტანციური სწავლების ფორმების სრულყოფა და განვითარება;

გმადლობთ, ყურადღებისთვის!

თბილისი
2022 წელი
©მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი